

თიბისი ბანკი საავადმყოფოების მშენებლობისთვის 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხებს გასცემს

პრესრელიზი

თბილისი, 12 ოქტომბერი, 2010წ. – დღეს, 14:00 საათზე, თიბისი ბანკის მენეჯმენტმა გააკეთა განცხადება ჯანდაცვის სფეროს დასაფინანსებლად 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო პორტფელის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული სესხის 50% გაიცემა აშშ-ს მთავრობის გარანტიით. პრესკონფერენციაზე, საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), როგორც აშშ-ს მთავრობის წარმომადგენელმა მხარემ, თიბისი ბანკთან გააფორმა 10 მილიონი აშშ დოლარის სასესხო პორტფელის საგარანტიო ხელშეკრულება.

პრესკონფერენციას უძღვებოდნენ: თიბისი ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრო ურუშაძე და USAID-ის მისიის დირექტორი ჯონათან კონლი.

თიბისი ბანკის მიერ გამოყოფილი 20 მილიონიანი სესხი მოხმარდება საქართველოში საავადმყოფოების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის დაფინანსებას და საშუალებას მისცემს ინვესტორებსა და სხვა შესაძლო მსესხებლებს, საქართველოში ააშენონ ახალი, ან გაარემონტონ ძველი საავადმყოფოები, ასევე შეიძინონ მნიშვნელოვანი სამედიცინო აპარატურა. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს მოსახლეობისთვის თანამედროვე, მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

თიბისი ბანკი, ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც ჯანდაცვის სფეროს დასაფინანსებლად სესხებს USAID-ის გარანტიით გასცემს. გარანტია გაიცემა ქართველი ხალხისთვის ამერიკის მთავრობის მიერ კონფლიქტის შემდეგ დაპირებული ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების ფარგლებში.

გარანტიით დაფარული სესხის მაქსიმალური ოდენობა 4 მილიონი აშშ დოლარია. სესხის გაცემისას პრიორიტეტი მიენიჭებათ თბილისის გარეთ მდებარე საავადმყოფოებსა და კლინიკებს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.